



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

21 თებერვალი 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 21

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სტადიონი“-სათვის დამზადებული საფეხბურთო აბონემენტების ინვენტარიზაციის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ, კომისიის სხდომაზე მოახდინეს 2009-2010 წლების საფეხბურთო სეზონისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სტადიონი“-სათვის დამზადებული საფეხბურთო აბონემენტების ინვენტარიზაცია და ინვენტარიზაციის დროს გამოვლინდა 983 ცალი გაუხარჯავი აბონემენტი მათ შორის: 20 ლარიანი 70 ცალი თანხით 1400 ლარი და 10 ლარიანი 913 ცალი თანხით 9130 ლარი, გამომდინარე აქედან, ჩამოიწეროს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სტადიონი“-სათვის დამზადებული გაუხარჯავი 983 ცალი საფეხბურთო აბონემენტები.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი